ტფილისი

№ 154
1877
ივლისის 20, კვირა 1903 წ.

ივერია

№ 154
1903
ივლისის 20, კვირა 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვეული ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 0 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ილია მიხეილის ძე ხარაევი შვილებით, **სოფიო გიორგის ასული და ოლღა მიხეილის ასული ხარაევისანი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისა, მეორე დედისა და უკანასკნელნი რძლის

დარია ილიას ასულის ხარაევისას.

გამოსვენება მიცვალებულისა მოხდება საკუთარ სახლიდგან (ველიკოკნიაჟეს ქუჩა № 6) ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაზედ ივლისის 21-ს დილის 10 საათზედ; დაკრძალვა—პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ. ნაშვიდი 18-ს და 19-სა საღამოს 7 საათზედ. (3—3)

აბრამილიას ძე ტურიევი და მარიამ ილიას ასული იაშვილისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას დაუვიწყარ და საყვარელ ძვირფას დის

დარია ილიას ასულის ხარაევისას

(3—3)

კავკასიის ნატურალური კონიაკი

დ. ზ. სარაჯიშვილისა

ტფილისში

საწყობნი: პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილის, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი (50—6—27)

ჟირარდოვს მანუფაქტურების ს: აქც. საზ. საწყობი

ახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა

მრავლ. მიღებულია საზაფხულო სეზონისათვის:

საქალო მატერიები: ბატისტი, სატინა, მუსლინი, კრისტა, ლინი, არჟუან ტინი, მერველიე, ბროშე, ბროდე ზოლიანი, პლიუმტი, ლევანტინ-ფულიარი, ფერადი ტილო.

საკიტელო მატერიები: კოლომენკა, რაგოჟა, ეშმაკის ტყავი-მოლესკინი, პა რუსინა გიმნაზიელთა ბლუზებისათვის.

საფარდებო ტილო და ტიკი ფარდებისა და მარკიზებისათვის

საბანაო ზეწრები, ხალათები და სხვა კუთვნილებანი

ნიმუშები უფასოდ ეგზავნებათ მსურველთ.

ჟინერი და ლეიტცი. (100—66)

იყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებს პირდაპირ მშვენიერი საგარაკო ადგილები

„სოზესმო“

თვისის მდებარეობით ჰავით ჰსჯობია ყველა საგარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირო დატოვებულია ორი მოზრდილი „პარკი“ **ფიჭვისა მუხისა,** დაპირობებისაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანზე სახლი № 2). (30—20).

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 ავგისტოს

გამოსაცდელი წარმოდგენა

ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ თეატრის კანტორაში დღეიდან 5 აგვისტომდე, ყოველ დღე დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (7—2)

ზემო ავჭალაში, ბაქანს ახლოს, იყიდება

საგარაკო ადგილი,

რომელზედაც ვენახია გაშენებული, 1.000 ჩორსო საჟენი. ფასი 2.500 მან. შეიძლება გაიყიდოს პატარა ნაკრებადაც, 100—200 ჩორსო საჟენი. ფასი საჟენისა 2—3 მანათი. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—6)

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,

იჯარით იძლევა

დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—6)

ქართული წიგნის მაღაზია

გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზედ დაბეჭდილსაც. (10—5)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილისქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

ზრ. ვ. სოზოლდევსკი—დასტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადასტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდე-ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ა. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ჯ. ი. ბჟოლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ნ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

გ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7— საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½, 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გათებსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова

(წ.)

მთავრობის განკარგულებანი.

„კავკაზში“—დაბეჭდილია:

1903 წელს 18 ივლისს, ტფილისის გუბერნატორმა კავკასიის მთავარ-მართებლის მიერ 1902 წელს 18 იანვარს გამოცემულ იმ სავალდებულო დადგენილებათა ძალით, რომელიც წესრიგის და მშვიდობიანობის დაცვას [illegible] პოლიციის მოთხოვნილების შეუსრულებლობისა და ქუჩაში ყრილობის მოხდენისათვის დაპატიმრებულ იქმნენ:

სამის თვით:

1) შახვერდოვი სერგო (ზეინკალი) 2) კაპანაძე პავლე (მეპურე), 3) მაისურაძე რაჟდენა (ხაბაზი), 4) მიქაძე გიორგი (მკერვალი), 5) თურქაძე ვასილი (ტრამვაის კონდუქტორი), 6) გელიკურაშვილი გიგო (იგივე), 7) გიორგობიანი გიორგი (ხელოსანი), 8) ასლანია სამსონი (ზეინკალი), 9) მენდუკიძე დიმიტრი (ზეინკალი), 10) ალაჯანოვი მანუკა (მხატვარი), 11) აღდგომელოვი დავითა (მუშა თამბაქოს ქარხნისა) 12) მანჯგიანცი ხაჩატურა (ნოქარი).

ორის თვით:

1) სონაძე ლავრენტი (ზეინკალი), 2) ხუცელოვი პეტრე (ქუჩის დამგველი).

თვე ნახევრით:

1) ლუბანიძე გალაქტიონი (ხაბაზი), 2) გრუმელაძე გიორგი (მხატვარი), 3) სიმონოვი ოჰანეზა (იგივე), 4) გძელიძე ალექსი (ხაბაზი).

ვადა ზემო აღნიშნულ პირთათვის ითვლება დილის 9 საათიდგან 17 ივლისს 1903 წელს.

უმაღლესი ბრძანება.

„უმაღლესის ბრძანებით სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის ქონება მართებლობას უნდა გადაეცეს ამ წესით:

1) ყველა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიებს, მონასტრებს, სასულიერო დაწესებულებათ და სასულიერო სასწავლებელთ, იმ ქონებათა გარდა, რომელნიც ქვემოთ იქნება ჩამოთვლილი, უნდა ჩამოერთვას დამტკიცებულის წესით სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო წოდებასა და დაწესებულებებს და გადაეცეს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს; დასახელებულ დაწესებულებათა თანხები უნდა გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს; ამასთანავე დაცულ უნდა იქმნას სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის საკუთრების უფლება ამ ქონებისა და თანხების შესახებ.

2) მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უნდა გარდაეცეს სომეხ-გრიგორიანთა შემდეგი საეკკლესიო ქონებანი:

ა) სხვა-და სხვა კვარი მიწები, დასახლებული და დაუსახლებელი, ტყეები, საძოვარი ადგილები, წისქვილები, თევზის საჭერი ადგილები და სხვა; არ გადაიცემის მხოლოდ ის ადგილები, სადაც აშენებულია ეკკლესიები, მონასტრები, სალოცავები და სხვა, აგრეთვე ის ადგილები, რომელზედაც ეპისკოპოსთა სახლებია და რომელიც უჭირავს სასულიერო დაწესებულებათ, საქალაქო და სასოფლო სამრევლო სამღვდელოებას და სასულიერო სასწავლებლებს; ადგილები, ეკკლესიების და სასაფლაოების გალავანში მოქცეული და სამოსახლო ადგილები, რომლებითაც სამღვდელონი სარგებლობენ,—ბაღები, ბოსტნები, სახნავი ადგილები და სხვა, ზომით არა უმეტეს სამის დესეტინისა ყოველ სამრევლო ეკკლესიასთან, იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილები სხვებზე არ გადაუციათ შემოსავლის გულისათვის.

ბ) გარდაიცემის სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის, სამღვდელოების და სასულიერო დაწესებულებათა სახლები და შენობები, რომელნიც საჭირო არაა სამღვდელოთა საცხოვრებლად და საოჯახოდ.

შენიშვნა: ზემოხსენებული წესები არ შეეხება პეტერბურგისა და მოსკოვის სომეხთა ეკკლესიების მამულებსა და თანხებს.

3) ზემოხსენებულ წესებს ექვემდებარება ყველა მამული და თანხა, რომელსაც შემდეგში შემოსწირავენ ან უანდერძებენ დასახელებულ დაწესებულებათ.

4) შემოსავალს ზემოხსენებულ მამულებიდან და თანხებს განაგებს შინაგან საქმეთა სამინისტრო უცხო რჯულთა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტის, რომელსაც მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ უნდა წარმოუდგინოს ანგარიში და შემოსავალი იმის უწყებაში მყოფ მამულებისა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო გარდასცემს იმ სასულიერო დაწესებულებათ, რომელთაც ჩამოერთმევათ მამულები და თანხები, შემოსავალს და ფულს, რომელიც შესდგება იმის გამგეობაში მყოფ თანხის სარგებლიდან, მხოლოდ შემდეგის ხარჯების გამოკლებით:

5) უძრავ ქონებათა შემოსავლიდან ყოველ წელს უნდა გამოაკლდეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს განკარგულებით არა უმეტეს 10%-ისა ამ მამულების მართვა-გამგეობის ხარჯის დასაფარავად, აგრეთვე განსაკუთრებულ სათადარიგო თანხის შესადგენად არაჩვეულებრივ ხარჯთათვის, მამულების გაუმჯობესებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით უნდა გამოაკლდეს 5% სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარებელ თანხის შესადგენად; ეს თანხა უნდა მოხმარდეს სომეხ-გრიგორიანთა საეკკლესიო დაწესებულებათა საჭიროებას და ამ ეკკლესიის გამგეობის საზოგადო მოთხოვნილებათ.

6) იმ შემთხვევაში, თუ რაიმე უკმაყოფილება მოხდა, ან ეჭვი გაჩნდა და ვერ გამოარკვეს—სამღვდელოების ქონება და თანხები მთავრობას უნდა გადასცეს თუ არა, საქმე გადასაწყვეტად შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა მიენდოს.

II. მიენდოს 1. შინაგან საქმეთა მინისტრს: ა) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ როგორ უნდა იხარჯებოდეს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიის დამხმარე თანხიდან ფული; ეს წესები რომის კათოლიკეთა სამღვდელოების დამხმარე თანხის შესახებ არსებულ წესების მიხედვით უნდა იქმნას შედგენილი; მინისტრმა თავისი წინადადებანი უნდა წარადგინოს წესისამებრ; ბ) შეიმუშაოს წესები იმისა, თუ სასულიერო დაწესებულებებმა როგორ უნდა შეადგინონ ანგარიში იმ ფულისა, რომელიც სახარჯოდ გადაეცემათ. 2. მიწათ-მოქმედებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა შეთანხმებით დაადგინონ: ა) წესები იმისა, თუ როგორ უნდა გადაეცეს ქონება და თანხები სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიებისა სამინისტროებს და ბ) წესები ამ ქონების მართვა-გამგეობისა.

და III. 1898 წ. 26 მარტს უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება ამ ნაირად შეიცვალოს:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აცხადებ

მთარგმნელთა საყურადღებ

რომ გასამრჯელო მთარგმნელ მიეცემათ მხოლოდ იმ პიესების თაობაში, რომელიც წინადვე გადასათარგმნელად გამგეობის მიერ მოწონებული იქმნება. მსურველთ შეუძლიანთ წარუდგინონ გამგეობას სათარგმნელად არჩეული პიესა და, თუ გამგეობამ მოიწონა, მთარგმნელს, გადათარგმნის შემდეგ, გასამრჯელო მიეცემა, თუნდაც პიესა დამდეგ სეზონში ვერ დაიდგას სცენაზედ.

(5 უ.—1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა, მინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს მიენდოთ, ამ დებულების 1 მუხლის თანხმად, სომეხ-გრიგორიანთა ეკკლესიის მამულები სახელმწიფომმართველობაში მიიღონ, ერთმანერთთან შეთანხმებით ასწერონ ის მამულები და ქონება, რომლების შემოსავლიდაც საერო განათლების სამინისტროსაგან ჩაბარებული სკოლები უნდა ინახებოდეს; ამას გარდა ა) ასწერონ ის მამულები, რომლებიც უსათუოდ უნდა დასტოვონ სასწავლებელთა შესანახად და ბ) დანარჩენ მამულების შემოსავლის დაგვარად გამოიანგარიშონ, რამდენი ფული უნდა გადასცენ ყოველ წელს საერო განათლების უწყებას ზემოხსენებულ სასწავლებელთა შესანახად.

ტფილისი

◆ გერმანიიდგან გვატყობინებენ, რომ ანტონ ფურცელაძე და ნიკოლოოზ ხიზანაშვილი ამ ჟამად ბერლინში არიან და ორთავეს პროფესორი ლეიდენი სწამლობს. ცოტას ხანს კიდევ კლინიკაში დარჩებიან და მერე სამკურნალო წყლებზე წავლენ სხვა-და-სხვა ადგილს. აქ ქართველების ახალშენი (კოლონია) დავაარსეთო, ხუმრობს კორესპონდენტი, რადგანაც ქართველები შევგროვდითო. იქვე ამ ჟამად არიან ნიკოლოოზ ნიკოლაძე ოჯახით, ნიკო ლოლობერიძე, დავით სარაჯიშვილი მეუღლითურთ, ივანე გველესიანი და სხვ.

◆ 16 ივლისს, სადამოს 7 საათზე, ბორჯომიდგან მოავამლი სახალხო მატარებელი ტფილისს რომ მოუახლოვდა, გზის დარაჯმა შეაჩერა, რადგანაც გზა ვილაც ბოროტ-გამზრახველთ გაეფუჭებინათ. კარგი რომ დარაჯმა შენიშნა, თორემ დიდი უბედურება დატრიალდებოდა.

◆ მოსკოვის ქუჩის თავში, პარასკევს, 18 ივლისს, სადაც სახლის პატრონი პეტროვი თავის ეზოს აფართოვებდა და მიწას სჭრიდა, უეცრად მოსწყდა კლდე და ზედ მდგომი მუშა თან წამოიღო. მუშა მძიმედ არის დაშავებული და საავადმყოფოში წევს. ესევე პეტროვი თურმე თოფის წამლით აფეთქებს კლდეს და [illegible] ყურე-კი არავინა ჰყავს.

◆ საბურთალოსა და პუშკინის ახალშენის მიწის პატრონებმა, ვერაზე, განიზრახეს ელექტრონული ტრამვაია გამართონ ტფილისიდგან. ლიანდაგს მიწა უფასოდ დაეთმობა. ახალშენელნი სთხოვენ ქალაქის გამგეობას, რომ იმათი მამულები საბურთალოზედ ქალაქს შეუერთდეს.

◆ ამას წინად რომ თათარი მოეკლათ და ქთავ-ფეხო მტკვარში გადაეგდოთ, ორი მკვლელი ხომ აღმოაჩინეს. ეხლა მესამეზედაც ეჭვი აუღიათ. ეს არის ახალგაზდა თათარი, რომელიც ს. ოლგინსკში მწყემსად იყო და ახვერდი ოსმან ოღლის ირქმეოდა. ეხლა აღმოჩნდა, რომ ეს თათარი ყოფილა არდაგანის ოლქის ს. კარაკალას მცხოვრები ალახვერდი ოსმან-ოღლი, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ 1302 წელს ავაზაკობდა წალკის მხარეს, საცა საძოვარი იალაღებიაო.

◆ ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავადაზნაურთა შვილების დამხმარე საზოგადოების დედათა განყოფილების თავმჯდომარე კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა გულითად მადლობასა სწირავს კნეინა ნინო სოლომონის ასულს ანდრონიკაშვილისას, რომელმაც ბაკურცხიდგან 20 მანეთი გამოჰგზავნა სათავად-აზნაურო დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ.

◆ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავს, —საჩქაროდ შემატყობინეთ ქალაქის ხუროთ-მოძღვრები თვალყურს ადევნებენ თუ არა, როდესაც რომელიმე ახალი შენობა კეთდება ტფილისში და რავდენად დანაშაულია ქალაქის ხუროთ-მოძღვარნი იმ უბედურობაში, რომელიც ცაპლინის შენობაზე მომუშავეთ დაემართათო. ქალაქის მოურავმა ამ მოწერილობას გამო საჩქაროდ პასუხი მოსთხოვა ქალაქის უფროს ხუროთ-მოძღვარს ენფიანჯიანცს.

◆ გუბერნიის სამმართველოს განკარგულებით, ხუროთ-მოძღვრებმა დაათვალიერეს ხარაზოვის სახლის კედელი, ერევნის მოედანზე, სადაც ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების ბანკია, და დარწმუნდნენ, რომ შესაძლოა კედელი გადმოიქცეს.

◆ ტფილისის საბოტანიკო ბაღის გამგეობაც იღებს მონაწილეობას გაგრის სამცენარეო გამოფენაზე.

◆ 18 ივლისს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა უგან. თავ. გრუზინსკიმ საზოგადოების სახელით მოხსენება გაუგზავნა პეტერბურგში არსებულ საბჭოს, რომელსაც სოფლის საჭიროებათა გამორკვევა აქვს მინდობილი. ეს მოხსენება ადგილობრივ სოფლის საჭიროებებს შეეხება.

◆ როგორც კავკასიის მუზეუმის ცნობებიდანა სჩანს, 1901 წლის განმავლობაში მუზეუმი დაუთვალიერებია ფასით 8777 კაცს, ხოლო უფასოდ—2537 კაცს. 1902 წლის განმავლობაში მუზეუმი დაუთვალიერებია ფასით 8045 კაცს და უფასოდ—2679 კაცს.

ჩვენებური ამბები

ს. ჯიხაიში. 30 ივნისს, ს.—ჯიხაიშის მცხოვრებნი გამოეთხოვნენ ექიმს ბ. გ. გომართელს, რომელიც ქუთაისს გადავიდა. გამოსათხოვარი სადილიც გაუმართეს დიდ-ჯიხაისის ორ კლასიან სასწავლებლის ბაღში, სადაც ას ორმოცდა-ათ კაცამდე დაესწრო მანდილოსნებითურთ.

ს. დიდ-ჯიხაიში. შაბათს, 28 ივნისს, აქ სცენის მოყვარეთაგან გაიმართა წარმოდგენა დიდ-ჯიხაისის წიგნ საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ციმბირელი“, ოთხ-მოქმედებიანი კომედია ცაგარლისა. პიესა კარგად ჩაატარეს და ხალხიც ბლომად დაესწრო. ამ წარმოდგენის გამგედ იყო კნ. ნინო სოლომონის ასული ჩხეიძე, რომელმაც ბევრი შრომა მიიღო. ხელს უწყობდნენ. კნ. მ. ჯავახიშვილი, ნინო დორთქიფანიძისა, დ. ბიბილეიშვილი, ა. ღლვიძე და სხვანი. ეს პირველი წარმოდგენაა ამ ზაფხულს და სასურველია კიდევ გაიმართოს ამისთანა გონებრივი გასართობი.

სოფელი ბრეთი მდებარეობს ქარელის სადგურიდან ჩრდილოეთით ექვს ვერსზე. გარშემო არტყია მრავალი სოფელი და მათში ძლევის ჯვარი 50 კომლით, დირბი 240 კომლით, დოდოთი 35, ძგილეთი 30—, წვერი—40, არადეთი—25, სადოლაშენი —22, ქვათერი—40, ტახტის ძირი —35, ველები—40 კომლით. ეს სოფლები მიწერილია ბრეთზე და შეადგენს ერთს საზოგადოებას, რომელშიაც სამოც კომლამდე თავად-აზნაურია. თვით პატარა ბრეთში, რომელსაც ასეთი გეოგრაფიულ მდებარეობა უჭირავს, ითვლება 70 კომლამდე გლეხი და 15-მდე თავადნი—ავალიშვილები. ამ სოფელს არასდეს მგზავრი არ მოაკლდება. გარს შემორტყმულ მრავალმა სოფელმა უეჭველად აქ უნდა გაატაროს პური, ბზე, სიმინდი, ქერი, ლობიო, კომბოსტო, კარტოფილი და სხვა, რაც-კი მათ გასასყიდათ სურამს, ქარელს, გომს და ხაშურს, რომლებიც ბრეთიდგან 6—15 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

ბრეთიდგან ცხინვალამდე ითვლება 15 ვერსი, ცხინვალიდგან 15 ვერსი ჯავამდე, საიდანაც რაჭაც სულ ახლოა და ამიტომაც ამ მოკლე გზით ზემოთხსენებულ რკინის გზის სადგურებისკენ მძიმედ დატვირთულ ურმებით მიეზიდებიან უთვალავ სოფლის ნაწარმოებს ჯავის, ურნისის, ცხინვალის ხეობებიდგან და სხვა ახლო მდებარე სოფლებიდგან. ამ სოფელში ცხრა მხრივ მოდის გზა და სოფელი ითვლება კარგ სავაჭრო და საადმინისტრაციო ცენტრად.

ამას მთავრობამაც მიაქცია ყურადღება, დიდი საზოგადოება დირბისა გააუქმა და მიაწერა ბრეთის საზოგადოებას. გუბერნატორმა გარდასწყვიტა ბრეთშივე იყოს საზოგადოების მმართველობაც. ბრეთივე ითვლება—სამხედრო ცხენების აღწერის მეცამეტე უბნად. აქავე არის ხოლმე მრავალ სამამასახლისოების ყრილობა მურაბის ასარჩევად. ასე თვალსაჩინოა ეს პაწია სოფელი; გორის მაზრის [illegible] პავლოვს უთხოვნია გუბერნატორისათვის, რომ ბრეთისა და ოქონის საზოგადოება შეერთდეს და ბრეთის საბოქაულად დაინიშნოსო. როგორც გვესმის სარწმუნო კაცებისაგან, გუბერნატორს შეუწყნარებია პავლოვის თხოვნა და კიდეც გვისახელებენ ბოქაულსაც. ეს სოფელი ტფილისის გუბერნიის ექიმთა უფროს ქიქოძეს მოეწონა, როგორც მრავალ სოფელთა შუაგულ მდებარე ქსენონის დასაარსებლად. ეს აზრი, ვგონებ, მალე განხორციელდება.

გზები ბრეთის საზოგადოებაში და უმეტესად ჯავა—ქარელის გზა ვერ არის სასურველ მდგომარეობაში. გასწორება—შეკეთება ამ გზისა-კი ადვილია: არ ელობება წინ ხევ-ხუვი, არ ელობება პატარა მდინარეც-კი. ქარელიდან ცხინვალამდე 21 ვერსია და აქედამ ჯავამდე 15 ვერსი სულ თითქმის ვაკეა. საჭიროა მხოლოდ გზა-ტკეცილს დორდი დაეყაროს. ეს გზა თითქო ყოველ წელს სწორდება, კეთდება მაგრამ სულ ისევ გასაკეთებელია. ამისი მიზეზი ის არის, რომ გზების საკეთებლად ხალხი გამოჰყავთ იმ დროს, როდესაც მათთვის ყოველი წამი ძვირფასია: მკისა და კალოობის დროს გზის საკეთებლად გამოყვანილი ხალხი ერთგულად ვერ ეპყრობა საქმეს. გზების კეთების დრო შემოდგომაა, ან გაზაფხული, როცა უსაჭიროესი საქმე ან ჯერ არ დაუწყიათ, ან გაუთავებიათ.

მამა პიროსელი

კავკასია

ბაქო. ამას წინად ბაქოს გაზეთებმა დაწვრილებით ასწერა, როგორ შთანთქა ბალახანა—საბუნჩის ნავთიანი ადგილები ცეცხლმა გაზეთ „ბაქო“-ში დაბეჭდილია კიდევ შემდეგი ცნობები ამ ცეცხლის შესახებ: ცეცხლმა, რომელიც 15 ივლისს გაუჩნდა „ძმ. ნობელების“ ნავთის ადგილს, იმ დღესვე, საღამოთი ნელ-ნელა იკლო; საღამოთი მხოლოდ აქა-იქ გაფანტული ფიცრები და ხეები იწვოდა, აქა-იქ კიდევ ჰბოლავდა კომლი მიწურ ამბრებიდამ. ეგონათ, ცეცხლი ამით გათავდებოდა და ჩაქრებოდა; ძლიერი ქარიც ჩადგა; მართლაც ღამის ათ საათზედ ცეცხლი მთლად ჩაქრა; მაგრამ ღამის თერთმეტის ნახევარზედ უცბად იფეთქა ცეცხლმა ფითოევის ნავთიან ადგილზე, საბუნჩაში, სადგურ საბუნჩას ახლო. მოეკიდა ერთს ნავთის კოშკს (ვიშკას); აქედამ ანაზდეულად გადავიდა ცეცხლი სხვა ადგილებზე; ალმა ერთად მოიცვა ოცამდე კოშკი. ცეცხლი საოცარს სანახაობას წარმოადგენდა. იწოდა მიწური ამბრები, ნავთით სავსე რეზერვუარები და საცხოვრებელი სახლებიც. შიშისაგან დაფეთიანებულმა მცხოვრებლებმა თითქმის მიატოვეს ყველაფერი, მხოლოდ ზოგიერთა ძვირფასი ნივთები გამოასწრეს და მიაშურეს ვაგზალსა; აივსო გამოქცეულ ხალხით მთლად ვაგზალი, სადგურის გზები და მიდამოები. ყოველი მხრიდან ისმოდა გულშემზარავი ტირილი ბავშვებისა, ვაება დედაკაცებისა, რომელნიც ერთად არეულ დარეულ ხაბაკში ეძებდნენ თავიანთ ნივთებსა. ოცი კოშკიდამ და ამბრებიდან ავარდნილმა ალმა სწორედ სისხლის ფრად გაანათა მთელი არე-მარე და ბრბო ხალხისა. მთელმა ახლო მახლო მცხოვრებლებმა ვაგზალთან მოიყარა თავი. თუმცა ამ დროს ქარი, ცოტა არ იყოს, მიყუჩდა, მაგრამ მაინც საკმაოდ შორს ისვრიდა ალსა. ძალიან უჭირდათ იმათ, რომელნიც სადგურ საბუნჩას ახლო მოსახლეობენ: ქარი ზედ აყრიდა ნაკვერჩხლებს, ნაპერწკლებს და მუგუზლებსა. რაც შეეძლოთ ასველებდენ სახლის სახურავებს, რამდენჯერმე გადაარჩინეს დაწვასა. საბუნჩის მცხოვრებლებს მთელი ღამე არ ეძინათ. გათენებისას, სამს საათზე, ცეცხლი განელდა, ალმა იკლო, ძლიერი ცეცხლი ეკიდა მხოლოდ ორ-სამს ნავთის სავსე რეზერვუარს და მიწურ ამბრებს. ცეცხლი ნელდებოდა სადგომ სახლებშიაც, რომელიც საბუნჩის ტბის გარემო მდებარეობს. დილით ცეცხლი სრულებით ჩაჰქრა დაუწველი კოშკების ნარჩენებს წყალს ასხამდნენ, ან თითონ ჰქრებოდა ცეცხლი. დილის მატარებლებით უბინაოდ დარჩენილი ხალხი ბაქოს ჩამოვიდა.

საბუნჩის მატარებლები სრულიად ავსებული იყო ხალხით, რომელიც ცეცხლის სანახავად მოდიოდა. ერთ ღამეში დაიწვა სულ 23 კოშკი, ათიდე ნავთის ამბარი და რეზერვუარი და ორი სადგომი სახლი. ფითოევის ადგილებზე დაიწვა შვიდი კოშკი, კრასილნიკოვის 1, ტერ-აკოფოვისა 8 კოშკი და 1 მიწური ამბარი, 1 რეზერვუარი, სადგომი სახლები, „ბაქოს სანავთო და საჭრო ამხანაგობისა“ ოთხი ამბარი, „მზიარეთა“ ადგილზე სამი ამბარი, სულ დაიწვა 69 კოშკი, ოცამდე ამბარი და შვიდი რკინის რეზერვუარი. ეს მიახლოვებით არის გამოანგარიშებული; ჯერჯერულ ცნობაში მოყვანა მთელის ზარალისა შეუძლებელია.

ქართული თეატრი და მისი რეჟისორი.

(დასასრული *)

ეხლა თვალი გადავავლოთ ჩვენს სცენას, მისს წეს-რიგსა და გამგებლობას, მისს რეჟისორას.

სცენა ყოველგან ერთია. მისი მთავარი ხასიათის თვისება ერთი და იგივეა, როგორც საფრანგეთში თუ რუსეთში, ისე ჩვენში. იქაც, როგორც ჩვენშიაც, ბევრი ინტრიგები და კისრ ტეხაა, იქაც ხშირია თვე-გასვლა დღევარ-წახნილობა, იქაც ხშირია სიმთვრე, ლოთობა და

---

*) იხ. „ივერია“ №90.

ფელეტონი

შურდული

(საკვირაო გაზეთი)

XV

ტფილისი, 19 ივლისი.

რადა გვეშურდულება, ისეთი შურდულოსნები გაჩნდნენ, რომ ჩვენ—„შაბაშ“! არამც თუ საწყალ „შურდულის“, არამედ თვით ბატონ ალა „ივერიასაც“ ისეთი შურდული მოსდეს, რომ რამდენსამე დღეს წელმოწყვეტილი კვნესოდა და ლოგინს თავი ვეღარ აატანა. მძიმე ავადმყოფს ექიმები დაახვიეს, წამალი აყლაპეს და უშხაპუნეს, წელი უზილეს, თავზე საგრილობელი ადეს და, ბოლოს, როგორც იყო, გონებაზედ მოვიდა. მაინც, ვიდრე თვით მეშურდულე არ მოვიდა დ არ შეულოცა, მძიმედ დაკოდილი „ივერია“ ფეხზე ვერ წამოდგა. ეხლა ცოტა კარგად არის და, თუ მეშურდულეთა წყალობა იქმნება, წინანდებურად იღოღიალებს. ეხლა ჩვენც ავყვებით „ივერიას“ აჩრდილსავით და შიშითა და კრძალვით მივმართავთ ჩვენს „შურდულს“. ნურას უკაცრავად, თუ ჩვენი ნასროლი უცაბედად „ალალმართალსაც“ გაუბზუილებს.

—

ტფილისი.

◆ ტფილისში ხორცის ნიხრმა რომ აიწია, ქალაქის საბჭომ დაადგინა, მოდი ქალაქელები ხორცის ჭამას გადავაჩვიოთო; მადლობა ღმერთს, ეხლა ვეგეტერიანობა მოდაშია, ჩვენც ამ მოძღვრებას მივყვეთო. მინამ საბჭო ოქმს დასწერდა, ტფილისის საყასბოების სალახებმა ცირკულიარი გამოსცეს: საკლავ პირუტყვს აღარ დავხოცთო, პირუტყვიც ღვთის გაჩენილია, ცხოველი არსებაა, თოლ, ისიც დასტკბეს წუთი-სოფლის ცქერითაო. პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას დიდი მენდალი გაუგზავნია სალახებისათვის და თან შეუთვლია,—თუ შეიძლება, ერთი სუკი და ჩალაღაჯი გამოგვიგზავნეთ, თორემ ხორცის ჭამას გადავეჩვევითო.

◆ ბ-ნ ალიხანოვმა და მთლად ქალაქის საყასბოს გამგე კომისიამ გამოაცხადა, ვერის მოედანზედ პანაშვიდი გადავუხადოთ განსვენებულ ქალაქის საყასბოსაო. მაგრამ საყასბომ თავი წამოჰყო, თვალები დააბრიალა და ქირისუფლები სულ გაჰფანტა. საყასბოს თანდათან დღე ემატება.

◆ ქალაქის გამგეობა მთვარესთან გზავნის ინჟინრებს ხატისოვს (აი ბაქოელ გმირსა) და თვით ენფიანჯიანცსაც შემდეგის თხოვნით: რაც „პრიკაზჩიკებმა რვა საათზედ დაუწყეს მაღაზიებს კეტვა, ქალაქი მთლად სიბნელემ მოიცვა; იმ დღეს ქალაქის ხმოსნები კინაღამ ხრამში გადაცვივდნენ. მთვარევ, „დამწვართ იმედო“, „გვსურს ჩვენი ტანჯვა შენ გაგიბედოთ“, მოიღე მოწყალება საღამოდამ დილამდე გვინათე და, რაც ელექტრონზე დაგვეხარჯება, ნახევარი შენ, ხოლო ნახევარი... ჩვენო.. ელჩნი ჯერ არ დაბრუნებულან.

—

ქართულ დრამატიულ დასს წარმოდგენებზე უარი უთქვამს,—„ზაბასტოვკა“ მოუხდენია რაღა! შიმშილით კუჭი გვეწვის, რა დროს წარმოდგენებიაო. მეორეც ეს, რადგაც მორიგი რეჟისორობა უნდა შემოიღონო, თურმე „მოკრივეებს“ ნიშნავენ მორიგეებად, ვის აქვს მათი თავი—თითო-ოროლა კბილი შეგვრჩენია და ისიც უნდა ჩავამტვრევინოთო. ვნახოთ რა იქნება!

—

ჩვენებური ამბები

ჭიათურა. ივნისის 29-ს შუადღის საათის სამზედ შეტაკება მოუხდათ ლხინიკო-უქმაძეებს, რომელნიც ორ ბანაკად გაიყოფებიან. პირველ რაზმის მთავარ-სარდალი ბ-ნი ბატ-ბალანჩი იერიშის მიტანის დროს მძიმედ დაიჭრა თავში, ხოლო მეორე ბანაკისა ბ-ნი პარ-ოფრი მსუბუქად. დაიჭრა აგრეთვე პარ თოფრის „ადიუტანტი“ ბ-ნი ხანდრა. ქალაქი შიშით ძრწოდა. შეტაკება მოხდა ქალაქის შუაგულში, მდ. ყვირილის მარჯვენა კიდეზე, ქუმბურიძის რესტორან-სამიკიტნოს „Крѣпость“-ში, „პოლიციის სპუსკის“ მახლობლად. შუადღის სამ საათიდან მეორე დღის დილის რვა საათამდე ქალაქში მოძრაობა შეწყვეტილი იყო. ხალხი აქეთ-იქით იმლეოდა თავ-ზარ დაცემული. მრავალჯერ დასცალეს მეამბოხეთ ჯაზაირ-ხამბურაკნი. მათი ბრბო მთელ ღამეს დაძრწოდა ქუჩებში; ხმა გავარდა, მომავალ კვირისათვის ორივე ბანაკი დიდ მზადებაშიაო. მიკიტნები თურმე დიდძალ ღვინოსა და სურსათს ეზიდებიან ამ დღისათვის, ომიანობის დროს დიდ მოგებასა ვნახავთო. ბ-ნ ბატ-ბალანჩს თავში კეტის ცემით ჭკუაც გაუქცევია. ამბობენ, მომავალ სასაპარეზოდ თავის მოადგილედ ბაკ-შველი დაუნიშნავსო. ჭიქოურიდან იცნობებიან—ბატ-ბალანჩს მომავალ ბრძოლისათვის ნიჯადს (შემწე ჯარს) მოვაშველებთო. როგორც-კი ბუკის ხმას გავიგონებთ, იმ წამსვე გამოვემართებით მგლურის მუნძულითაო.

შავი-ქვის ფასი მეტად დაეცა, მიზეზად მოამბოხეთა მოძრაობას ასახელებენ. ყოველ დღე მატულობს მეამბოხეთა რიცხვი. მაღაროებში მუშაობა შესწყდა, რადგან მუშები მეამბოხეთა რაზმებს ემატებიან. ივლისის 2-ს, ღამის 12 საათზე, შევიტყეთ, ბატ-ბალანჩი თავის მხედრობით „ბოგატირის“ წყაროსთან დაბანაკებულა და ჯებირ-სანგლებს ამზადებსო; ბაკ-მეშველმა ყუმბარები დაუშინა ქალაქის დასავლეთ ნაწილს.

გ. ნანელი.

—

ვილაც „ოტიას“

ღია წერილი.

იტყვის მაცხოვარი: „მაგინებელთა თქვენთა აკურთხევდით და მწყევართა თქვენთა ულოცევდით“.

რა მეთქმის მოწაფესა მისსა ნაცვალი მიგებად შენდა, ძმაო „ოტია“, თუ არა ესე მხოლოდ: ღმერთმან გაკურთხოს, შეგინდოს და მოგიტევნეს შენი სიცრუვის ბოდვანი, რაიცა გაზ. „კვალში“ დასწერე ჩემი განკიცხვა, რომლითა პირადი ჩემი საუკუნო ღირსება დააჯილდოვე მეცხრე ნეტარების მადლით:

„ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გდევნიდენ და გყვედრიდენ და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მიმართ სიცრუით ჩემთვის“... ხოლო რაც შეეხება სარწმუნოების მხრივ საზოგადოების დაბრკოლებას, უმჯობეს იყო შენდა, სიტყვისაებრ მაცხოვრისა, ქვა-კიდებულ ზღვაში ჩავარდნილ იყავ.

ალექსი ბერი.

—

ბიბლიოგრაფია.

კარლ მარქსის ესანიშნავი სამეცნიერო თხზულება „კაპიტალი“ ჩინურს ენაზედ გადუთარგმნინელ მეცნიერს ლენგ-კაი-კიუს და ესარგმანი მალე დაიბეჭდება.

ამ ბოლოს [illegible] ჩვენ მრავალი მარქსისტი-გვგონინ (და მიდგა), რომ ეს თხზულება ქართულადაც გადმოითარგმნება. სამწუხაროდ, ჩვენი მარქსისტები, როგორც ამბობენ, დიდრელ გერმანელის წიგნისა ჯერ თავი გაუგიათ, ვერც ბოლო.

—

ნარკვევი

გაზეთ „ცნობ.“ რედაქციას ვინმე ს. [illegible] მიართვა: 21 [illegible] ბორჯომის მინერალური [illegible]

[illegible]

[illegible] რაღაც ამბავი უნდა იყოს და [illegible] ბ-ნი ჯანრეკი დარაგმა [illegible]

—

ნარიმ-ნაკლეს-გასართობი

[illegible] წინად ცნობილი რუსის მწერალი გორკი ესტუმრა ქალაქს. მისი [illegible], რასკაკერვილია, ბევრი [illegible], მაგრამ ბ-ნი გორკი არავის

მსახიობისაგან უწესოების ჩადენა—შუა წარმოდგენიდგან გაქცევა და სხვა მაგისთანა უზადრუკობა, პირშავობა და სიდუხჭირე იმ განსხვავებით, რომ იქ ყოველს დანაშაულს შესაფერი სასჯელი მოსდევს, ჩვენში კი... მაგრამ ეჰ, ღირს-და მაგაზედ ლაპარაკი?...

მიუხედავად ამ განსხვავებისა ქართული თეატრი და სცენა მაინც კიდევ უფრო განსაკუთრებულს პირობებშია და მიტომაც მისი რეჟისურაც სხვანაირ კალაპოტში ჩაყენებული. ჩვენებური რეჟისურა, იმის გარდა, რაც წინა წერილში გვქონდა აღნუსხული,—მოითხოვს კიდევ სხვანაირ თვისებებს, რომელნიც სიზმრადაც არ უნახავთ უცხო სცენების რეჟისორებს.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ჩვენ აღვნიშნავთ იმ ფრიად საგრძნობელსა და სახასიათო განსხვავებას, რომელსაც ყოველ-დღე ვისმენთ და ვხედავთ ჩვენსა და სხვა სცენათა შორის. ჩამოვთვალოთ მხოლოდ ზოგიერთნი: ა) მსახიობთა სიმცირე ჩვენში, სხვაგან კი სიმრავლე და ჭარბობა (მსახიობი ქალი კი ჩვენში სანთლითაც საძებნელია); ბ) მსახიობთა სიღარიბე ჩვენში, მაშასადამე, მათს დამშეულ მუცელთან ჩაუცმელობა, მოუწყობლობა, ნაკლი ყოველისფერში,—სხვაგან კი სრული უზრუნველყოფა, სიმდიდრე და ფუფუნება; გ) ჩვენში შრომა-გარჯისათვის გროშია სასყიდელი და ისიც ოთხი-ხუთის თვის განმავლობაში, იქ-კი ბრწყინვალე სამსახური და ჯილდო ყოველთვის და მთელ წლობით; დ) ჩვენში სცენის მოყვარეობა, დილეტანტობა, იქ-კი—მსახიობთა პროფესიონალობა, კორპორაციობა; ე) ჩვენში მსახიობთა ხელუხლებლობა, სხვაგან-კი დამნაშავის დასჯა, რადგან აქ ერთის დათხოვნილის მაგიერ ასი სხვა არის,—ჩვენში უკანასკნელ ჩხირ-პაიკ მსახიობსაც ვერ დაითხოვ, რაც უნდა უსაქციელობა ჩაიდინოს; ვ) ჩვენში სცენის მოუწყობლობა, სიღარიბე დეკორაციებსა, ტანისამოსებსა, რეკვიზიტსა, ავეჯსა და საზოგადოდ ყოველს აქსესუარში, სხვაგან კი ყველაფერში სიუხვე და ჭარბი სიმდიდრე და სხვა ათასი წვრილმანი თუ მსხვილმანი განსხვავება ჩვენსა და უცხო სცენათა შორის.

აი ამისთანა პირობებში უნდა ისაქმოს ჩვენებურმა რეჟისორმა და ზედ-მეტი—ჩვენებური რეჟისორი მოვალეა სწრთვნას მსახიობნი, ახალგაზდებს სასცენო ანბანა ასწავლოს—ლაპარაკი და სიარული, პატარა როლების მოთამაშენი და სტატისტები ქუჩიდგან შემორეკოს ხოლმე სცენაზედ წარმოდგენის წინ ნახევარის საათით, მოსძებნოს ახალი მსახიობნი და გზა და კვალი მისცეს, დღე და ღამ შემოსავალზედ იფიქროს და იზრუნოს, თავპირი იმტვრიოს რეპერტუარზედ, იკითხოს პიესები, მათ შორის მრავალი სისულელე, შეაკეთოს ისინი და ასწოროს მათი ბარბაროსული ენა, კვირაში ერთი და ზოგჯერ ორი ახალი პიესა მოამზადოს თითო-ოროლა რეპეტიციით მაშინ, როდესაც უცხო სცენებზედ ერთ პიესას ორ-სამ თვეს ამზადებენ და ხშირად ასე მომზადებულ პიესას მთელის წლის განმავლობაში თამაშობენ; ჩვენი რეჟისორი მოვალეა თვითონვე ითამაშოს და იმავე დროს სცენარიუსობაც გასწიოს, გარდერობშჩიკობაც, მებელშჩიკობაც და კიდევ სხვა ათასი რამ, რაც მისს ჯანს, მკლავს და გოგრას შეუძლიან!...

რა ჰქნას სცენის გამგებელმა-რეჟისორმა ასეთ უკიდურესს პირობებში? როგორ აწარმოვოს საქმე და ისიც უნაკლულოდ?! რა გზას დაადგეს: იპოლიტიკოსოს და იდიპლომატოს სასტიკ ბატონ-გამგებელთა და ავ-ზნე მსახიობთა შორის, თუ ხელი მაგრად წაუჭიროს მათ და ერთ კვირაში ყველანი განფანტოს და მარტო დარჩეს ცხრა-თავა გამგეობის ანაბარად? ან კიდევ წელებზედ ფეხი დაიდგას, შეუძლებელი შეიძლოს და ავად თუ კარგად სეზონი როგორმე ბოლომდე მიიყვანოს, თუმცა გამგეობის წევრნი, იმის მაგიერ, რომ ხელი შეუწყონ, ყოველ ნაბიჯზედ აბრკოლებენ და ათასგვარ ღვარძლიან კილოს გამოსძებნიან, რომ ისედაც დატვირთულ-გაბრუებული რეჟისორი უფრო გააალმასონ და გადარიონ!..

რომელ ერთს გაუძლოს ჩვენებურმა რეჟისორმა: მსახიობთა ურიერობასა და დაუდევრობას, გამგეობის თვითეულ წევრთა მეტიჩრობას, რეცენზენტების უვიცობას, თუ საზოგადოების საყვედურს, რომელიც ორ შეუსაბამო ჯგუფად არის დაყოფილი!..

ვერა, ბატონებო, ვერაფერი გულთმისნები ვყოფილვართ, თუ ვფიქრობთ, რომ სადმე მოიძებნებოდეს იმისთანა რეჟისორი, რომელსაც ჩვენს სცენაზე რისამე გაწყობა შეეძლოს! არა თუ ბატონნი კრონეკები და სტანისლავსკები, ქრისტე ღმერთიც რომ მოიყვანოთ, მაინც ვერას გახდება ჩვენს სცენაზე, მერე ისიც ხუთ-ექვს თუმნად თვეში, და ესოდენ დიდებული სასყიდელიც ოთხი-ხუთის თვის განმავლობაში...

დიდი გულუბრყვილობაა და უვიცობაც, ვიფიქროთ, რომ რეჟისორი რასმე გახდეს ჩვენში, სანამ მთელი სისტემა საქმის წარმოებისა ძირიან-ფესვიანად არ შეიცვლება. დროა დავრწმუნდეთ, რომ იოტის ოდენას ვერას მოიგებს ჩვენი სცენა, თუ რეჟისორათ კოტეს მაგიერ ვასო იქნება, ან პირიქით ვასო კოტეს მაგიერ, ვალიკო ლადოს მაგიერ ან ლადო ვალიკოს მაგივრად, ან კიდევ ყველანი იქნებიან ერთად ან მორიგეობით; მით უფრო ფუჭად მიგვაჩნია გარეშე პირის რეჟისორობა, რადგან ჯერ ერთი ვერსად გვეგულება ეგეთი და რომ იყოს კიდეც, მისი ღვაწლი დიალაც „სასაცილო იქნება; რომ სამწუხარო არ იყოს“!

ვიმეორებთ, აქ საქმე რეჟისორის პირადს ღირსებაზე როდია, არამედ თვით საქმის ორგანიზაციაში, საქმის წარმოებაში, მთელ სისტემაში, იმ თავითვე დღევანდლამდე დაკანონებულ უწეს-რიგეობასა და უკუღმართობაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კერძოდ კოტეც საუცხოვო რეჟისორია და ვასოც; ლადოს და ვალიკოს ჩვენზე უკეთ ესმით სასცენო ხელოვნება და ჯეჟისორობაც; იქნება კერძო პირებში მოუმზადებლივ და ბუნებითვე საგანგებო რეჟისორები აღმოჩნდნენ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჯერ ხანად, როგორც პირველ ჩვენს წერილში გვქონდა მოხსენებული, ვერც ერთი ვერ გამომდგარა, ვერც ერთს ვერ დაუმსახურებია გულწრფელი მადლობა, ხოლო საყვედურები-კი ბევრი გვახსოვს. ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ზემოდ ხსენებული პირები არ ვარგოდნენ რეჟისორებად, სულაც არა. ყოველს მათგანს ცოტა თუ ბევრი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს სცენაზე და პირუთვნელი კრიტიკა და ისტორია თავის დროზე ყველას მიუზღავს შესაფერ საფასურს მათ მიერ გამოღებულ ნაყოფისა დაგვარად.

ამ ჟამად-კი ჩვენ პირდაპირ და მოურიდებლად ვაყენებთ შემდეგ კითხვას:

— შეიძლება თუ არა აწინდელ პირობებში ნაყოფიერი რეჟისორობა ქართულ სცენაზე?

— არა, არ შეიძლება! გულწრფელად და თან გულის ტკივილით ვუპასუხებთ ჩვენ.

დროა შევიგნოთ ყველამ—საზოგადოებამ, გამგებლებმა და მსახიობებმა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ თეატრი და სცენა ხალხისათვის არსებობს და არა ხალხი თეატრისათვის. გამგეობის წევრებმა და მსახიობებმა ქართული ხელოვნება უნდა გაიხადონ სათაყვანებლად და არა პირადი სიამოვნება და კერძო ინტერესები.

ყველამ უნდა შევიგნოთ ძველებური თქმულება განთქმულის მენენი აგრიპასი ადამიანის სხეულის შესახებ, რომელთაც, „პირველობის“ დასამტკიცებლად, განცალკევება და განკერძოება მოინდომეს და ამით კინაღამ თავიანთი თავი დაღუპეს და ადამიანსაც ბოლო მოუღეს.

შეუძლებელია თეატრის დაწინაურება, თუ „პირველობა“ იქმნა გამეფებული ისეთ ერთობილ საქმეში, როგორც სცენაა. სხვა არა იყოს-რა, ჩვენს დროში პირადობა, პირველობა სრულებით შეუფერებელია; გმირობის ხანა წარვიდა, ეხლა ყველაფერი ერთობრივია, შეთანხმებული; ამ ერთობრივობამ და ანსამბლით მოქმედებამ ყველგან და ყველაფერში იჩინა თავი — ცხოვრებაში, აღებ-მიცემობაში, პოლიტიკაში, ომიანობაში და სხვა. ჩვენი დრო კოოპერატიული და კოლექტიურია.

და როდესაც ეს პრინციპი ანსამბლისა, შეთანხმებისა და შედუღებულის უმეტნაკლებო მოღვაწეობისა ძვალ-რბილში გაუჯდება ჩვენის თეატრისა და სცენის ბედ-იღბლის გამგებელთ და ყველა მსახიობთა, დიდისა და მცირეს განურჩევლად, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება რეჟისორის ნაყოფიერი შრომა-მეცადინეობა!

სცენის მოყვარე.

უცხოეთი

ინგლისი. ივლისის 9-ს საზოგადოებათა პალატის დარბაზში მეჯლისი გაიმართა საფრანგეთის დეპუტატთა და სენატორთა პატივსაცემლად, რომელნიც საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს მომხრენი არიან. მეჯლისმა, რომელსაც დაესწრნენ ყველა მინისტრები და და 150-მდე წევრი ორთავე პალატისა, მეტად მხიარულად ჩაიარა. თავმჯდომარე საფრანგეთის ჯგუფისა დ'ესტურნელ-კონსტანი ბალფურის გვერდით იჯდა, ბოდენი — კემბელ-ბანერმანისა, ზიგფრიდი — კრანბორნისა — ჩემბერლენის პირდაპირ.

ედუარდ მეფისა და ლუბეს სადღეგრძელოების შემდეგ, რომელიც სუფრისა თავსა მჯდომელმა წარმოსთქვა, წამოდგა დ'ესტურნელი და ინგლისურს ენაზედ სთქვა სიტყვა, რომელშიაც შეაქო საერთაშორისო სამედიატორო სამართალი. „ჩვენ არ შემოგვაქვს რაიმე განსაზღვრული პროექტი სამედიატორო სასამართლოისა და არც განზრახვა გვაქვს სახელმწიფოების მთავრობათა გამგეობაში ჩავერიოთ, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ უკანასკნელნი დღესასწაულნი პარიჟსა და ლონდონს უნაყოფოდ არ დარჩება და სასურველი შეთანხმება მოხდება ამ ორ დიდ სახელმწიფოთა შორისაო“. შემდეგ ილაპარაკა ბალფურმა და ის იმედი გამოსთქვა, რადგან საფრანგეთსა და ინგლისს შორის არავითარი შეურიგებელი უთანხმოება არ სუფევს, სრულიად ადვილი იქნება ამ უთანხმოებათა სამედიატორო წესით გადაწყვეტაო. ორატორმა აღუთქვა დამსწრეთ მთავრობის სახელით ამ დიად იდეის განსახორციელებლად ყოველ ღონისძიებას ვიხმარო. ბალფურის შემდეგ ილაპარაკა კემბელ-ბანერმანმა (ფრანგულად), რომელმაც სიამოვნება განაცხადა ორ დიდ სახელმწიფოთა პარლამენტების დაახლოვების გამო და აღნიშნა, რომ საფრანგეთის ხალხის წარმომადგენელთ მეჯლისზე იხილეს თავისი ინგლისელი ამხანაგები ყოველ დასთა და ყოველ წოდებათაგან, დაწყებული პირველ მინისტრ—ამ საზოგადოებათა პალატის „enfant gaté“-დან, ახალშენთა მინისტრ—ამ ინგლისის მთავრობის „enfant terrible“-მდე (სიცილი და ტაში). როდესაც კემბელ-ბანერმანი დაჯდა, ყოველის მხრით გაისმა ხმები „ჩემბერლენ, ჩემბერლენო“. წამოდგა ახალშენთა მინისტრი და ვრცელი სიტყვა სთქვა სამედიატორო სასამართლოს სასარგებლოდ. მეჯლისის დასრულებისას ლანესანმა წარმოსთქვა საზოგადოებათა პალატისა და ლორდთა პალატის სადღეგრძელო.

თეატრი და ხელოვნება

სოფ. წყნეთს (ტფილისის მაზრა), კვირას, ივლისის 20-ს 1903 წ., ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება: 1) „ადვოკატი მელაძე“, კომედია 2 მოქ., გადმოკ. ვ. მაჩაბლის-მიერ; 2) „ორი მშიერი“, ვოდევილი 1 მოქ., გადმოკ. დ. აწყურელის-მიერ. დასაწყისი 8 საათზედ. აქვე მზადდება წარმოსადგენად თავ. გ. ერისთავის კომედია „გაყრა“.

—

ერთს ფრიად სასურველსა და მისაბაძ ამბავს მოგვითხრობს რუსული გაზეთი „თეატრი და ხელოვნება“: ერთის თეატრის გამგეობას გამოუკრავს განზრახული რეპერტუარი და მასთან ერთად შენიშვნაც, რომ თეატრის მაყურებელთ შეუძლიანთ აღნიშნულ რეპერტუარიდგან მათთვის სასურველი პიესა აირჩიონ და იქვე თეატრის კარებთან მიკრულ საფოსტო ყუთში ჩაჰყარონ ბარათები სასურველის პიესების სახელით. თეატრის გამგეობა ამ ყუთიდგან ყოველ-კვირა ამოიღებს აღნიშნულ ბარათებს და მთელი კვირა ისეთს პიესებს დასდგამს, რომელთაც მეტი ხმა ამოუვათ. კარგი იქნება ჩვენი თეატრის გამგეობაც მიჰბაძავდეს ამ მაგალითს, მეტადრე სახალხო წარმოდგენების დროს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 ივლისი.

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია წმ. გიორგის, წმ. ვლადიმერისა და წმ. ანნას ორდენთა დებულების მუხლთა შეცვლისა და დამატების შესახებ.

მოსკოვი. დღეს მწუხრის დროს მიძინების ტაძარში გამოტანილ იქმნა თაყვანსაცემლად ღირსის სერაფიმეს პალეკარტი.

საროვო. დღეს 11 საათზედ მიტროპოლიტის ანტონის მიერ, სამღვდელოების კრებულის თანამსახურებით, გარდახდილ იქმნა უკანასკნელი პანაშვიდი მარად სახსოვარის სერაფიმეს მოსახსენებლად და შემდეგ მიცვალებულთა ლოცვა მისს საფლავზედ.

პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და სხვა უმაღლესნი გვამნი.

ბუდაპეშტი. ობსტრუქციის მომხრეთ

არა ღებულობდა. როდესაც ქალაქიდგან მიემგზავრებოდა და უკვე ვაგონის კუპეში იჯდა, ერთმა ქართველმა, მისის ნიჭის თაყვანის მცემმა, სადარბაზო ბარათი შეუგზავნა კანდუქტორის ხელით და სთხოვა,—თქვენს თხზულებებს ქართულადა ვსთარგმნი და მეტად საჭიროა ჩემთვის თქვენი გაცნობაო. ბ-ნმა გორკიმ ამის პასუხად შეუთვალა,—ჩემს თხზულებებს ხომ სტანჯავთ, მე მაინც მომეცით შვებაო. ნ.

—

ჩვენს ცნობილს მსახიობს კ. მ—ს წიგნი უთხოვებია ი. ჭ—სთვის, რომელიც შეჰპირებია,—დანიშნულს ვადაზედ დაგიბრუნებო. გავიდა დანიშნული ვადა, მაგრამ ბ-ნმა ჭ—ამ წიგნი არ დააბრუნა. შეხვდა კ. მ—ი და ჰკითხა: მეგობარო, რა უყავ წიგნიო? ჭ—ამ უპასუხა,—კაცო, რისა გეშინია; დარწმუნებული უნდა იყო, რომ წიგნს არ დავკარგავო.

— ის კი არ მაშინებს; რომ შენ დაჰკარგავ; ის მაშინებს, რომ მე დავკარგეო—უპასუხა კ. მ—მა.

ნ

—

ათას-რვაას-ორმოცდა-ათიან წლებში კახეთის გაღმა მხარი შამილის ჯარმა ააოხრა; ეს ხმა მთელს საქართველოს მოედო. ამ დროს ყირიმის ომიც იყო; ჯარები ყარსისა და ახალციხისაკენ იყო გაგზავნილი; ტფილისში ცოტა იყო ჯარი; რომ ქვეყანა არ აეოხრებინათ, გამოიყვანეს ხალხი, დაურიგეს თოფი და დიდუბეში გაიყვანეს სასწავლებლად.

სამსახურ გათავებულმა აფიცრებმა დაუწყეს სწავლება: „მხარზედ, ფეხთან, გატენე, დაუმიზნე, ესროლე“ გაისმოდა ამ დღე დიდუბეში.

როდესაც ცოტა შეასწავლეს, მერე ნამდვილად გაატენინეს; დააყენეს მწკრივად და გაისმა ბრძანება:

— გაისროლეთ!

რამდენმამე ქალაქის მოვაჭრეთაგანმა კისრები მარჯვნივ მიიღრიცეს, შეშინებულის ხმით მორთეს კივილი:

— ჰა, მიკიჩ! გავარდა!

— პოღოს, იქით მიღრიჯე თოფი, კისროში არ მომარტყაო, უთხრა მიკიჩამ პოღოსას, თითონ უარესად მიიღრიჯა მარჯვნივა და (კივის ხმით შეჰკივლა: ნახე, ვა, პოღოს გაკარდაა!!. არონ

—

თეატრი და ხელოვნება

დ. ყვირილა. აქაურმა სცენის მოყვარულებმა კარგი ხერხი მოიგონეს, რომ როგორმე საზოგადოება მოიტყუონ: 6 კვირიკობას აფიშებში გამოცხადებული იყო, გამოჩენილ ადგილობრივ არტისტების მიერ წარმოდგენილ იქნება რუსულად „პრედლოჟენიე“ და ქართულად „გაცრუებული იმედები“ და „სუსტი მხარე“. პირველი ორი პიესა, როგორც იყო, შეხანხლეს და მესამე-კი სულ გადაუხლაპეს. როლების ცოდნის ნუ იტყვით; აღსრულებას ხომ ნუ ახსენებთ. ქალები სცენაზე სულ ხარხარებდნენ უადგილო ადგილსაც-კი, და ამით ცოტა არ იყოს, საზოგადოებას ართობდნენ. ვურჩევთ, მეორედ უფრო გააფართოვონ აფიშა და ათიოდე პიესა შთაბეჭდონ, იქნება ათჯერ მეტი მაყურებელი მოვიდეს.

—

ავთანდილის მოგზაურობა.

ეჰ, რა ძიელ მოვტყუვდი!!. ამას წინად „შურდულში“ განცხადება წავიკითხე, ერთ ღერ ულვაშად ფულს ასესხებენო, ადრესს თქვენ თითონ მიხვდითო. დავიძარ მაშინვე ტფილისისაკენ და აგერ ეს ორი კვირაა, რაც ქალაქში დავეხეტები, სად უნდა იყოს იმისთანა დაწესებულება, ან კერძო პირი, რომ ულვაშს ვექსილად იღებდეს მეთქი!! ცოტა ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, უსათუოდ ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში თუ შემოიღეს ასეთი ვექსილები, თორემ ამ დროში სხვა ვინ იქნება, რომ ასე ფული ურიგოსმეთქი. ავიღე თავი და თამამად შევედი ბანკში. აურებელი ხალხი ირეოდა. ყველო ფაცა-ფუცობდა, ერთმანეთს ყურში რაღასაც ეჩურჩულებოდა. ერთი ეუბნებოდა მეორეს: „ატსტუპნოის“ ოც თუმანს მოგცემ, ოღონდ ნუ შემეცილებიო. მეორე მესამეს: ნუ თუ კნეინას ხათრი არა გაქვს და უნდა ივაჭრო?!.

ამ ხალხში უფრო გაფაციცებით ორი ახალგაზდა კაცი დარბოდა; ვიფიქრე, მოდი ამათ ავეტორლიალები, ალბად ესენიც ულვაშის დაგირავებას ცდილობენ-მეთქი... მაგრამ აქ საქმე ნაღდ ფულზე ყოფილა; ამიტომაც იყო, რომ თავად-აზნაურების მამულ-დედული ჩაქუჩქვეშ სულ რიხინ-რიხინით იყიდებოდა.

დავეკითხე ერთ ყმაწვილ კაცს, რომელსაც ხელში ქაღალდი და ფანქარა ეჭირა და რაღასაც სწერდა:

— თქვენ ვინა ბრძანდებით, თუ უკაცრაოდ არ გახლავართ?

— მე გახლავართ გაზ. „შურდულის“ თანამშრომელი, გვარად ვითომდა პუბლიცისტი.

— აი გიშველა ღმერთმა! თქვენ გეცოდინებათ, სად იგირავებენ ულვაშს?

ყმაწვილ კაცს ულვაშებში გაეღიმა.

— მე მგონია, აქ უნდა იგირავებდნენ?

— არა, ბატონო ჩემო,—წყნარად მიპასუხა,—ეს-კი ვიცი, რომ აქ არ იგირავებენ ულვაშს, აქ ჰყიდიან და ხელებს აბანინებენ პირლია ქართველებს. „შურდულის“ რედაქციას დაფარულად აქვს ადრესი, ყველა დამგირავებელი თვითონ უნდა მიხვდესო, ჩემის აზრით კი ვგონებ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ რომ დიდი სახლია, საათიანი, იქ უნდა იღებდნენ. აი, დღეს საღამოს, 10 საათზე, გაიღებენ, მობრძანდით და იკითხეთ „ქალაქის საბჭო“, იქ, მგონი, უგირაოდ არიგებენ ფულსაო.

გამოვწიე ტუსტუსით დაიმედებულმა მაგრამ იქაც იმედი გამიცრუვდა. იქ ხარხარი დაიწყეს და სხვაგან მიმითითეს. დავდივარ და არ ვიცი, ვის დავეკითხო. იმ საოხრო „შურდულის“ რედაქციას ვერ მივაგენ, რომ მათი გაზეთი ზედ თავზე გადავაფხრიწო. კაცო, რა მტრობა სჭირდათ ჩემი, ე ულვაში რაზე მაგლეჯინეს. სხვა არა იყოს-რა მეწვის ზედა ტუჩი. მაგრამ თუ მართლა ფული ვიშოვნე, ვინ შერცხვენილი სულ არ დაიწიწკნის, აბა რის მაქნისია ულვაში. ოხ, ფული, ტყუილია ფული!.. რა იმედი მქონდა, რომ ქალაქში ერთი ლაზათიანად ვიქეიფებდი... ჩვენებურად!..

ვითომდა-პუბლიცისტი.

—

დეპეშები

(შურდულის დეპეშათა სააგენტოსაგან).

ვანქის-უბანი. „სიტყვა“ ქადაგად დაეცა.

შუა ბაზარი. რადგან ქალაქს ნაკლებად მოეპოვება საგრილობელი ადგილები და სიცხეებმა კი მეტად შეავიწროვა მცხოვრებნი, შუა-ბაზრელებმა შემდეგს ღონისძიებას მიჰმართეს: დრო-გამოშვებით მოჰხსნიან ხოლმე ქახრაკს ქალაქის წყლისაყვანის კრანსა და ასხურებენ ყოველ გამვლელ-გამომვლელს განურჩევლად სქესისა და ხნოვანებისა; ქუჩის ბიჭ-ბუჭები კისკის-ხარხარით და „ქესტის“ ძახილით აცილებენ ყოველ გამვლელს.

მუშტაიდი. ბაღის ბუფეტის მაგივრად მელქუმ გორგიჯანოვს სადანტისტო კაბინეტი გაუღია: ვისაც კბილები აწუხებს, ვახშმად უნდა მოითხოვოს ბასტურმა და ზედ ქართული პური; მუშტარი დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეს, რომ ყველა კბილებისაგან განთავისუფლდება. ვინიცობაა, ორიოდე ურჩი კბილი კიდევ შერჩა, სუკიც იგემოს და დანარჩენ კბილებსაც უეჭველად ლუკმას ჩაატანს.

იქიდგანვე. გუშინ ღამ ორ უბნის უფროს (ოკოლოდოჩნიკს) შეეპყრო სამის წლის ბავშვი და მიჰყავდათ გაკავებული. საზოგადოება გაოცებას იყო,—ნეტავ რა ბოროტმოქმედება უნდა ჩაედინოს ამ მცირე წლოვან დამნაშავესაო. ზოგი ამბობდა, ალბად, ყაჩაღი იქნებაო, ზოგი,—„ბუნტოვჩიკიო“ და სხ. გამოძიებამ-კი აღმოაჩინა, რომ ამ სამის წლის „ყაჩაღბუნტოვჩიკს“ დედა დაჰკარგოდა ბაღში. ასეთი მოვლენა თურმე არა-იშვიათია მუშტაიდში: მუსიკით გატაცებული დედები ხშირად ივიწყებენ თავიანთ ბავშვებსაო.

თეთრი დუქანი (მანგლისის გზა). მედუქნე ზუბიევი (აი, რუმბივით რომ

დაუდგენიათ—წარადგინონ პროექტი მეფის მისართმევ ადრესისა და განაცხადონ, რომ არ შესწყვეტენ ობსტრუქციას მანამდე, სანამ შესრულებული არ იქნება ხალხის მოთხოვნილებანი, რომლის თავმდებიც 1867 წლის კანონია.

ექს-ლე-ბენი. მოვიდა საბერძნეთის მეფე.

საროვო. ივლისის 17-ს, შუადღის 12 საათზედ, საიმპერატორო მატარებელი მიადგა საგანგებოდ მოწყობილ ბაქანს სოფელ ვიეზდნოეში, არზამასის მახლობლად. რკინის გზის პავილიონში მათ უდიდებულესობათ არზამასის დეპუტაციამ პურ-მარილი მიართვა. აქვე მაკარიევის მაზრის სოფლის მამასახლისმა კონსტანტინოვმა პურ-მარილის მირთმევის დროს უთხრა: „გაგვაბედნიერედ თქვენო იმპერატორებით უდიდებულესობავ ნიჟეგოროდის გუბერნიის გლეხობა და მიიღეთ ჩვენი პურ-მარილი“. ვიეზდნოის სამამასახლისოს მამასახლისმა შბალოვმა პურ-მარილი მიართვა თავის სამამასახლისოს სახელით; ხელმწიფე იმპერატორმა ღირს ჰყო იგინი უმაღლესის მადლობისა და მოწყალე გამოკითხვისა, და უმაღლესის გვამთა თანხლებით გზას გაუდგა. სათავად-აზნაურო პავილიონში მათ უდიდებულესობათ ელოდებოდა ნიჟეგოროდის თავად-აზნაურობა. პურ-მარილის მირთმევის დროს გუბერნიის წინამძღოლმა ნეიგარდტმა მოახსენა: „თქვენო იმპერიტორებით უდიდებულესობავ, ბედნიერია ნიჟეგოროდის მიწა, რომ გზად გაუხდა თქვენს სალოცავათ მოგზაურობას; ენით გამოუთქმელ ბედნიერებასა გრძნობს ნიჟეგოროდის თავად-აზნაურობა, რომ გიხილათავის კარავ ქვეშ და პურ-მარილით მოგეგება. ბედნიერიმც იყოს თქვენი მობრძანება, დიდო მეფეო—თქვენის უდიდებულესობის ფერხთ- წინაშე ვემხობით უქვე მევრდომილესის მადლობით მეფურ მზრუნველობისათვის სრულიად რუსეთისა და კერძოთ ნიჟეგოროდის თავად-აზნაურთათვის. ცხოველ არს გულთა ჩვენთა ქველობანნი თქვენნი, მოვლენილნი ნიჟეგოროდის თავად-აზნაურთა კრებულსა და კარატაევის თავშესაფარსა ზედა; დიდ არს აღფრთოვანება სულისა ჩვენისა ხილვითა თქვენისათა, მპყრობელო მეფეო; უნებურად გვაგონდება შორეული წარსული, ოდეს წინაპართა ჩვენთა, ნიჟეგოროდელთა დაჰყიდეს სახლ-კარი, დააგირავეს ცოლშვილნი და თამამად ააფრიალეს მოსკოვთან თავისი ძლევა-მოსილი დროშა სამშობლოს განსათავისუფლებლად. გვაგონდება შემდეგი დრონიც, ოდეს ნიჟეგოროდის თავად-აზნაურობამ ყველაზე უწინ ისმინა მოწოდება დაუვიწყარის ღვთივ განსვენებულის პაპათქვენისა. გვერწმუნეთ, დიდო ხელმწიფევ, რომ აწ და მარადის ნიჟეგოროდელი აზნაური ფარად გაუხდება სარწმუნოებას, მეფეს და სამშობლოს. მიიღეთ თქვენნო იმპერატორებით უდიდებულესობანნო, სალოცავად მოგზაურობის წინ ჩვენნი მხურვალე ლოცვანი. გფარვიდესმცა მრავალ-ჟამიერ ყოვლად შემძლე უფალი მეოხებითა დიდისა სათნო-ყოფილის საროველისა უძვირფასესსა რუსეთისათვის ცხოვრებასა თქვენსა და სრულიად სამეფო სახლეულობასა თქვენსა.—ხელმწიფე იმპერატორმა სიამოვნება განაცხადა გუბერნიის მეორედ ნახვითა და დიდი მადლობა ბრძანა გულითად დახვედრისათვის. აქვე პურმარილი მიართვეს ნიჟე-გოროდის გუბერნიის ერობის სახელით გამგეობის თავმჯდომარემ საველიევმა და არზამასის მაზრის ერობის სახელით გამგეობის თავმჯდომარემ კასსელმა. პირველის 25 წამზე ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცანი, დიდნი მთავარნი და დიდნი მთავრინანი ცხენ-და-ცხენ გაემართნენ საროვის უდაბნოსაკენ. ურას ძახილს დასასრული არა ჰქონდა; ხალხი დიდად აღტაცებულია. ივლისის 17-ს საღამოს 6-ს საათზე მათ უდიდებულესობათ შეისვენეს კარავში და ჩაი მიირთვეს. ტამბოვის გუბერნიის საზღვარზე მათ უდიდებულესობათ მიეგება ტამბოვის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი.

ბერლინი. კიშინევის ებრაელთა სასარგებლოთ გამართულ ხელმოწერით, რომელიც გერმანიის ებრაელთა დამხმარე საზოგადოებამ გამართა, აქამდე შეიკრიბა 525,483 მარკა.

რომი. წმ. პავლეს ვატიკანის კაპელაში დილის 10 საათზე დიდებული წირვა გადაიხადა კარდინალ ვანუტელლიმ; წირვას დაესწრო 61 კარდინალი; წირვის დასრულების შემდეგ მონსინიორ სარდიმ სთქვა სიტყვა და მოუწოდა კარდინალებს,—პაპად კეთილ-მსახური, მსწავლული და მშვიდობიანი კაცი აირჩიეთო. ხუთ საათზე კარდინალები ისევ ვატიკანს მივიდნენ და დაიწყო კონკლავი.

ათინა. ხალხში მოძრაობა დაიწყო კონსტიტუციის გადათვალიერების სასარგებლოდ. ამ აზრით შესდგა რამდენიმე კავშირი, რომლებიც ავრცელებენ პროვინციებში პროკლამაციებს იმ სახით, ვითომ მეფის მისართმევი არზა იყოს; არზაში აღწერილია სამწუხარო მდგომარეობა ქვეყნისა და აღნიშნულია კონსტიტუციის გადათვალიერების აუცილებლობა; ამ არზაზედ ხელს აწერს დიდძალი ხალხი, განსაკუთრებით მოქალაქენი.

19 ივლისი

ბუხარესტი. ვოლოგდის პოლკის დეპუტაცია მოვიდა ბუხარესტში და მრავალი სამხედრო დაწესებულებანი დაათვალიერა. ყოველგან მხურვალედ დაუხვდნენ. საუზმის დროს, დეპუტაციას ბუხარესტის ბრიგადის აფიცრობამ გაუკეთა, ბევრი სადღეგრძელოები წარმოსთქვეს.

პორტ არტური. როგორც ჩინური გაზეთები გვაუწყებენ, ეხლახან 200 ავაზაკი შეიჭრა იმპერატრიცას საზაფხულო სასახლეში პეკინს და წაიღო 100,000 ტაელად ღირებული ძვირფასი სამკაულობა. ამ ავაზაკობაში საჭურისნი ურევიანო; 200 კაცთაგან ჯერედ ექვსია დაჭერილი.

კიევი. მაისის და ივნისის განმავლობაში კიევის გუბერნიაში დაუსეტყვია 25,000-მდე დესეტინა ნათესი; ზარალი 200,000 მანეთამდეაო.

საროვო. ხალხის სიმრავლის გამო პური ძალიან ნაკლებად არის. ამბობენ, 300,000-მდე მლოცავიაო. ბევრნი შეძლებულთაგანნიც ცის ქვეშ ათევენ ღამეს.

ბერლინი. გერმანიის კომისრები პეტერბურგს მიემგზავრებიან მოსალაპარიკებლად რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ.

სოფია. მთავრობამ გადასწყვიტა იყოლიოს რომსა, ლონდონსა და ათინაში სადიპლომატიო მისსია.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, მოიშალოს ფინლიანდიის კადეტთა კორპუსი, ხოლო მოხელენი და კადეტები სხვა-და-სხვა ალაგას იქმნენ ჩარიცხულნი.

—

პეტერბურგის ბირჟა, 15 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინში 100 მარკაში.	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები.	94,40
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი.	5 6 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა.	99 1/8 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100 3/4 მყიდ.
4 1/2% გირავნ. ფურც სახელ. სადგ. მამულო ბანკის	95 1/8 მყიდ?
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	440 3/4 გაყ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 3/4 წვ. მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	288 1/2 წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92 1/2 გაყ.
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	380 წვ გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	190 წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილისწ. 01 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 8 ს. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 2) წ. საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) ავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

გზშარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 58 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 9ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 10 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

—

პირუტყვთა სამკურნალო,

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობაზედ დაარსებული, პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილით 8 საათიდგან 10 მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი—1 1/2-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

გასივებულა) მეტად პირიანად ჰყიდის ყოველგვარ სანოვაგეს—სწორედ იმ ფასად, როგორც სასტუმრო „ორიანტს“ და „ლონდონში“.—თუ ვისმე რამე გაუწყდა, ორ წყრთა ვიწრო თოკში მხოლოდ ათ შაურს ახდევინებს.

ტელეფონის სადგური. „ტელეფონისტკები“ საყოველთაოდ აცხადებენ,—თუ ვისმე საჩქარო საქმე აქვს და გამოლაპარაკება უნდა ნაცნობთან, ურჩევნია ისევ ეტლს მიჰმართოს, ან ფეხდაფეხ წავიდეს და ინახულოს, თორემ ჩვენ არა გვცალიან: ზოგს მიჯნური გვეკურკულება, ზოგიც რომანსა ვკითხულობთ და სხ. თუ მაინცა და მაინც არ მოგიშლიათ ტელეფონით ლაპარაკი, სამ საათს მაინც გვირეკეთ, თორემ ნახევარ საათის რეკა არა კმარაო.

ზესტაფონი. ქიდაობა თეატრის კომიტეტის წევრთა შორის დასრულდა.—გამარჯვება დარჩა ცნობილ ფალავანს მ. გაჩეჩილაძეს, რომელმაც გარდა კომიტეტის წევრთა თვით თეატრიც წააქცია. ბარაქალა, ფალავანო!

ხონი. ვიქირავეთ შიკრიკთა რაზმი, რომლის მოვალეობა იქნება დროით აცნობოს და გამოათრიოს ხოლმე დუქანსამიკიტნოებიდგან ჩვენი „დესეტნიკები“, როცა დაბაში რაიმე ცხადი ბოროტმოქმედება ხდება, თორემ ისე დაჰყრუვდნენ და დაბრმავდნენ, რომ მეორედ მოსვლასაც-კი ვერ გაიგებენ.

ხარფუხი. ბ. გ, ჩახნაშვილმა აიღო მონოპოლია ქართულ საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებისა.

—

(ცოცხის დეპეშათა სააგენტოდგან)

ბაქო.—ბალახანაში აპირობენ ყოველდღიურ გაზეთ „Сажа“-ს დაარსებას. გამომცემელ-რედაქტორად ასახელებენ ბ-ნ ტერ - დე - გრიახხოვს, თანამშრომლად „ბოლს“ და „გახვრეტილ ქვესტს“... მეთაურ წერილებსა და ფელეტონებში განმარტებული იქნება, თუ როგორ უნდა იპარო ნავთი... ერთი სიტყვით გამოესარჩლება იმას, რასაც დღეს ბაქოს გაზეთობა ებრძვის.

იქიდგანვე. ბაქო-ბალახანის მეხილეებმა შემდეგი განცხადება გამოაკრეს: „რომ მალე არ დალპეს, ვყიდულობთ და ვყიდით ყოველ გვარ მკვახე ხილეულობას- ვისაც ჰსურს ხოლერა შეეყაროს და იმ ქვეყნად გაემგზავროს, ყოველ დღე იგემოს ხოლმე ეს ხილიო“.—გადამეტებულ სიწმინდე-სისუფთავისაგან ბაქოში შავი-ჭირი გაჩნდა. ჩვენი კაცთ-მოყვარე და გულ შემატკივარი ექიმები გაიძახიან: „სიცრუეა, ჭორიაო“... სიხამდვილის გამოქვეყნებას და საწინააღმდეგო ღონისძიების მიღებას მაშინ აპირობენ, როცა ძცხოვრებთა ორი წილი უკვე გასწყდება.

ბალახანა. ბაქოს „ბუფეზ“ ნაკლები ვაჭრობა არც აქაურ საავადმყოფოსა აქვს; განსხვავება მათ შორის ის არის მხოლოდ, რომ „ბუფის“ „შანსონეტკების“ სანახავად მუშტრები დაიარებიან, ჩვენი საავადმყოფოს „შანსონეტკები“ კი თვითონ მიცინცილობენ ხოლმე მუშტრებთან, და შიშობენ-კი უპატენტოდ არ დაგვაჯარიმონ ალებ-მიცემისათვისაო.

რედაქტორ-გამომცემელი ია ერამე

—

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 1 აგვისტოს შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ოთხნაჭრიანის 400 ჩორსი საჟენის შეშის დასამზადებლად ერთის წლის განმავლობაში ქალაქის დაწესებულებათა, ტფილისის ადგილობრივ ჯარისა და ტფილისის კამენდანტის მმართველობისათვის.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, პირობათა შეტყობა შეუძლიათ ქალაქის მმართველობის 1 განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე ნაშუადღევის 2 საათამდე კვირა უქმეებს გარდა.

(3—6.—3).

საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ

მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი

Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირისახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახეს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

პუდრა-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

ფერ-უმარილი-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ემჩნიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმის აზრ-ს დელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

დაფნის ბალზამი (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

ძინაძინ-გლიცერინის-მიერი თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

სალებავი თმისა (რის-გუტმანი): შავი, მიხაკისფერი, მატენი და ბლონდი. ამ სალებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

უნგარული ესენცია ულვაშებისათვის (რისგუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

ტოკაის ბალზამი (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია, საათუ, საქონ ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 233 1901 წ. (80—29)

СЛИВОЧНОЕ МЫЛО
НЕГА
ТОВАРИЩЕСТВА
А. РАЛЛЕ и Ko
МОСКВА.

გამოვიდა და იყიდება წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველგან ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

ბედი

მოთხრობა ლომაურისა, ფასი 10 კაპ.

წიგნების გაგზავნა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Общество распростр. грамотности.

საწყობი ქაღალდის

მოსკოვი 1882 წ.

დიტიატკოვსკის ამხანაგობის

[illegible] 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად**.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—5.—14)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება მესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის მეშწეობით ახ-გარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1903—1904 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**. 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) ძსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და მშვიანი** (исправление дурного почерка)

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 6 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე გრიბოედოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე, სწავლა ყოველ დღე. (25—160—9)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе), д. Груз. [illegible] დროებით-რედაქტორი ბ. [illegible]